საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიწაძე შალვა ივანეს ძე

ბიწაძე შალვა ივანეს ძე (13. XII. 1905, ზესტაფონი,–31. VIII. 1980, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979).

დაამთავრა ამიერკავკ. კომუნისტური უნ-ტი (1929) და მარქსიზმ-ლენინიზმის უნ-ტის ასპირანტურა (1935). II მსოფლიო ომის მონაწილე. იყო თსუ-ის ისტ. მატერიალიზმის კათედრის პროფესორი (1964 – 80). მოღვაწეობის ძირითადი სფეროები: ეთიკა, ეთიკის მოძღვრებათა ისტორია და ისტ. მატერიალიზმი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ბელინსკის ეთიკური შეხედულებანი, თბ., 1962; ისტორიული მატერიალიზმი, თბ., 1957; 1971 (თანაავტ).